პროფესიული მომზადების პროგრამა: მაკიაჟის შესრულება /Make-up performing

პროგრამის მიზანი:

პროგრამის ძირითადი მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური მაკიაჟის სპეციალისტები, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით. პროგრამა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და რეგიონის საჭიროებებზე მორგებული პროფესიონალი კადრების მომზადებაზე. პროფესიული მომზადების პროგრამა უზრუნველყოფს მაკიაჟის შესრულების ისეთი ფუნდამეტური საკითხების შესწავლას როგორიცაა: ფერების სპექტრი და მათი პრაქტიკაში გამოყენება, სამუშაო პროცესში ჰიგიენური ნორმების დაცვა, წარბების კორექცია, სახის მომზადება მაკიაჟისათვის, მაკიაჟის ტიპის შერჩევა, დღის, საღამოს, საქორწინო და თვით (სელფ) მაკიაჟის შესრულება. პროგრამის მიზანია, დაეხმაროს კურსდამთავრებულებს დასაქმებასა და თვითდასაქმებაში

პროგრამის ხანგრძლივობა:

- 11 კვირა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- საბაზო განათლება

სწავლის შედეგები:

1. ფერების სპექტრი და მათი პრაქტიკაში გამოყენება;
2. სამუშაო პროცესში ჰიგიენური ნორმების დაცვა;
3. წარბების კორექცია;
4. სახის მომზადება მაკიაჟისათვის;
5. მაკიაჟის ტიპის შერჩევა;
6. დღის მაკიაჟის შესრულება;
7. საღამოს მაკიაჟის შესრულება;
8. საქორწინო მაკიაჟის შესრულება;
9. თვით (სელფ) მაკიაჟის შესრულება.

შეფასების მეთოდი:

- პრაქტიკული დავალება დაკვირვებით;
- გამოკითხვა;